ხაშურის მოამბე

№29(402) 7 აგვისტო, ორშაბათი, 2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობაში, ახალგაზრდული სივრცე გაიხსნა

გახსნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე - ირაკლი გივიაშვილმა, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ღონისძიება ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის" ხელმძღვანელმა გიორგი მაჭარაშვილმა გახსნა. მან საზოგადოებას გააცნო სამომავლო გეგმები და ის აქტივობები, რასაც ორგანიზაცია საგანმანათლებლო და შემეცნებით ჭრილში, სხვადასხვა მიმართულებით პერიოდულად ახორციელებდა.

შეკრებილ ახალგაზრდებს, ახალგაზრდული სივრცის მოწყობა მიულოცეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე- ირაკლი გივიაშვილმა, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა- ზაალ დუგლაძემ, პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე- გიორგი ჩაკვეტაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე- ნინო ლიპარტელიანმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა.

„ახალგაზრდების მხარდაჭერა, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია რეგიონებში... იმედი მაქვს, ამ სივრცეში არაერთი ახალგაზრდა შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენას, შეიძენს ახალ მეგობრებს, თანამოაზრეებს, შემოქმედებითად დაიტვირთება, გაერთობა და დაისვენებს. სწორედ ამ მოტივით დაუჭირა მხარი ხაშურის მუნიციპალიტეტმა „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის" და ახალგაზრდობის სააგენტოს იდეას. გამოყო ფართი, რომელიც, იმედი მაქვს, ახალგაზრდების საყვარელ ადგილად იქცევა" აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აბელ აბესაძე, მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ღონისძიების ბოლოს, ცენტრის დაარსებისთვის, კეთილმოწყობისთვის და ახალგაზრდების ჩართულობისთვის, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს, ახალგაზრდობის სააგენტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს თენგიზ ჩიტიაშვილს, მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურებს, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს ზვიად გოგუაძეს, ილია ჭავჭავაძის სახელობის, ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლის დირექტორს თამარ გაგლოშვილს და #1 საჯარო სკოლის დირექტორს მორის დანდურიშვილს.

სივრცის გახსნისას, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახალგაზრდობა არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, შესაბამისად, ახალგაზრდების მხარდაჭერა და გაძლიერება ხელს შეუწყობს ქვეყნის მეტად განვითარებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 აგვისტოს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით. სხდომამ დაამტკიცა პროექტი ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 3 თებერვლის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; აღინიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზანია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვა.

საკრებულომ მოისმინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ანგარიში 2023 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ წარმოადგინა.

დღევანდელ სხდომაზე, აგრეთვე, საკრებულოს წევრების კითხვებს არსებულ ვითარებაზე უპასუხეს ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" დირექტორმა ზურაბ ნოზაძემ და შიდა ქართლის სატყეო სამსახურის ხელმძღვანელმა კახა გაზდელიანმა.

ხაშურში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. ამ ეტაპზე უკვე განხორცელდა ძველი კონსტრუქციების დემონტაჟი და მიმდინარეობს ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი შადრევნის მოწყობა, გარე განათებებისა და დასასვენებელი სკამების მონტაჟი, მოეწყობა კალათბურთისა და სკეიტბორდის მოედნები, განთავსდება ახალი ატრაქციონები და ტრენაჟორები, დაიგება ქვაფენილი. გარდა ამისა, მოეწყობა მწვანე სივრცეები.

პროექტს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, რომლის ღირებულებაც 1 234 777 ლარს შეადგენს. ტაბიძის ქუჩაზე არსებული პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მომდევნო წელს დასრულდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2023 წლის ექვს თვეში გაწეული სამუშაო

2023 წლის პირველი იანვრიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას.

2023 წელს, სამსახურის მიერ, შემუშავებულ იქნა ფულადი დახმარების სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამა, რომელთა ფინანსური მოცულობა შეადგენს 1 208 180 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 112 820 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 859 940 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 41 410 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 24 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 170 000 ლარი;

2023 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის მდგომარეობა კი ასეთია:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 56 410 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 726 505. 92 ლარი (2602 ბენეფიციარი).

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 20 705 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების (50 პედაგოგი) უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა 12 000 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 62 951.80 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლით დაფინანსება ეხება შემდეგი კატეგორიის ავადმყოფებს: ეპილეფსიით, ონკოლოგიურ, დაუნის სინდრომით, ინსულტით, ჰემოფილიით, ღვიძლის ციროზით, სისტემური და ეპიდემიის შედეგად დაავადებულებს 200 ლარის ოდენობით, ბრონქული ასთმა, პარკინსონი, 500 ლარის ოდენობით და აორტო-კორონარული შუნტირებით 500 ლარის ოდენობით, ამ მიზნით დახმარება გაეწია 177-ზე მეტ ბენეფიციარს 63 340.30 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 40 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 12 300 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამით ფულადი სოცია;ური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 156 ბენეფიციარს გაეწია 46 800 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

ავადმყოფები, რომლებიცვ საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისის N 1196 ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 773 ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 310 060.62 ლარი.

ასევე, დაფინანსდა 27 ხელმოკლე სტუდენტი. მათ, სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის, 800 (არაუმეტეს) ლარის ფარგლებში, უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 20 777 ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 40 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 20 000 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით 372 მრავალშვილიან დედას გაეწიათ ფინანსური დახმარება 122 100 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ასეთი 1 ბავშვმა მიიღო დახმარება 500 ლარის ოდენობით.

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანი, დევნილი, უპატრონო მიცვალებული) გაეწია 9 ბენეფიციარს 2250 ლარის ოდენობით.

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების რესოციალიზაციაზე მომართვიანობა წელს არ მომხდარა.

აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების (0 დან -18 წლამდე) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება გაეწია 8 ბენეფიციარს 13 500 ლარის ოდენობით.

პარალელურად, გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 62 951.80 (6 თვე) ლარს;

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს, სოციალურად დაუცველ 730 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 49 638 ლარი;

ასევე, ხანძრის შედეგად, უსახლკაროდ დარჩენილმა 5 ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს (30 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 35 640 ლარი;

ომის ვეტერანთა 49 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 400-400 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 19 600 ლარი;

ჩვენი სამსახური მომავალშიც ეცდება გაითვალისწინოს საზოგადოებაში

არსებული პრობლემები და მოთხოვნები, რომელიც შესაბამისად ასახული იქნება მოქმედ პროგრამებში.

გიორგი ცერცვაძე, სამსახურის ხელმძღვანელი:

ხაშურის მუნიციპალიტეტში, გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე, სამუშაო შეხვედრა გაიმართა

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლები. GIZ-ის ექსპერტმა ნინო ლოლაძემ მათ საჯარო ფინანსებში გენდერული ასპექტების შემოტანის საჭიროება და პრინციპები გააცნო.

გენდერული ბიუჯეტირება არ არის სპეციალურად მიმართული კაცზე ან ქალზე და არ მოითხოვს სპეციალურად ქალების პროგრამებზე ხარჯების ზრდას, არამედ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებზე, მათ შორის შშმ პირებზე, ბავშვებსა და ასაკოვნებზე, სოციალურად მოწყვლად და სხვა კატეგორიის ბენეფიციარებზე მორგებულ საბიუჯეტო დანახარჯებს გულისხმობს, ამასთან, მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურიზაციას იმ კუთხით, რომ უზრუნველყოფილ იქნას თანასწორობა - აღინიშნა შეხვედრაზე.

დაისახა სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული გზები.

სამუშაო შეხვედრა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ორგანიზებით წარიმართა.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28)

ვახუშტის მიხედვით ,,...არს ვერტყვილამდე ქართლისა“, თუმცა ეს ტერიტორია მის დროს „მიხმული აქვს იმერთაგან,“ მაგრამ მაინც ულუმბის მონასტრის სამწყსოში ითვლება ნადაბურის „...ზეით არს ულუმბის მონასტრისა“- მიუთითებს ვახუშტი. ულუმბის მონასტერს საწმყსოში უნდა ყოფილიყო შემდეგი სოფლები: ნადაბური, ქვედა და ზედა ლიჩი, სოფელი ღოდორა.

ამის დასტურია დავით ამირეჯიბის თხოვნა, რომელიც 1760 წლის 13 ოქტომბერს განიხილა იმერეთის სამეფოს სასამართლო ხელისუფლებამ არჩილ ბატონიშვილის მოთავეობით.

დოკუმენტში ნათქვამია:

,,დავით ამირეჯიბი შეხვეწნოდა ბატონს მეფეს: ლიჩელებმა ღვთისმშობელს ბეგარა არ მამცესო. მეფეს თავისი ძმისთვის ებძანებინა, კარგათ გამოიძიეო. გამოვიძიეთ ხვთის შიშ ქვეშ.

დიახ, ღვთისმშობლის შეწირული ყოფილა ლიჩი, ღოდორა, გოლისი, ფიცრის ხიდსა და ხეფინის ხევს შუა ...

ახლა გიბძანებთ თვით აზნაურო ლეკვია და ათანო ლომიძე! თქვენ უნდა მოუკრიფოთ რაც მართებს; მაგ თქვენ სახელო კაცს ბეგარა მისცეთ ამ თქვენის ქვეყნიდამ, თვარამ გიწყენთ'' .

ვახუშტის დროს ულუმბის მონასტერში წინამძღვარი იჯდა. საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. თ. ბერაძე წინამძღვრის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რაც ვფიქრობთ უნდა ვრცელდებოდეს ულუმბის წინამძღვარზეც.

,,წინამძღვარი ჩვეულებრივ მონასტერს გააჩნდა, - წერს თ. ბერიძე, - აქ რომ მხოლოდ მონასტრის (იგულისხმება გესამანიის მონასტერის) წინამძღოლი იგულისხმებოდეს, ვახუშტი ბუნებრივია ამ ფაქტს ხაზს არ გაუსვამდა. ჩვენი ზრით წინამძღვრის ინსტიტუტი საქართველოს საეკლესიო იერარქიის საშუალო ფენას წარმოადგენდა. ასეთი წინამძღვარი არამარტო მონასტრის თუ საყდრის გამგებელი იყო, არამედ მას ემორჩილებოდა გარკვეული რეგიონის სხვა ეკლესიებიც“.

ულუმბის მონასტრის ირგვლივ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა XVIII საუკუნის 50 - იანი წლებიდან, როცა ალის ხეობაში გახშირებული ხასიათი მიიღო ლეკთა თავდასხმებმა.

ყურადღებას იქცევს ულუმბის მონასტრის ხატის 1787 წლის ივლისით დათარიღებული წარწერა: „ეჰა... ღვთისმშობელო... ოდეს ჟამთა ვითარებისაგან შენი ესე წ{მინდ}ა ტაძარი ულუმბიისა მტერთაგან მოოხრებულიყო და შენი განმაცხოველებელი ყოვლად წ{მინდ}ა ხატი მტრის შიშით შინდისის სოფელში დასახიზნავათ შეენახათ და იქ წინ აღნთებულის სანთლის დარდომით დამწვარიყო შენი შემკულება და როდესაც მადლითა შენითა დაფარულმან მონამან და მსასოებელმან შენმან ამირეჯიბმან მინბაშმან ზაზამ ვიხილე და ვიგულისმოდგინე კვალად მოჭედვითა შემკულობა და განახლება შენი სამკაულითავე შენითა და საფასისა წარსაგებელითა ჩემითა სადიდებლად მეფისა ჩემისა ირაკლი მეორისა და დასაცველად მეუღლისა ჩემისა ჩოლოყაშვილის ასულის ქეთევანისა და ძმათა და შვილთა ჩემთა საფარველად“...

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XIX ს-ის 40-იან წლებში დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილს ულუმბის ხატი სოფელ სოღოლაშენის პატარა ქვის ეკლესიაში უნახავს და წარწერაც გადმოუწერია, რომელიც შემდეგ მარი ბროსეს თავის VI ,,ღაპპოზტ”-ში გამოუქვეყნებია.

ხატის წარწერიდან ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი სიტყვები: ,,...ოდეს ჟამთა ვითარებისაგან... ტაძარი ულუმბიისა მტერთაგან მოოხრებულიყო...“

მაინც რომელ ,,მოოხრებაზე'' უნდა მიგვანიშნებდეს ხატის წარწერა?

1768 წლის 30 მაისით დათარიღებული დოკუმენტის თანახმად, ამ დროს ულუმბაში სამონასტრო ცხოვრება შეწყვეტილა და სოფელი მოსახლეობისაგან დაცლილია: ,,ავის დროს მიზეზით აღარც წინამძღვარი უჯდათ და თითონ ეს ულუმბელები იმერეთს დაფანტული ყოფილიყვნენ“.

ამასვე ადასტურებს 1770 წლის აპრილით დათარიღებული ქართლ - კახეთის მოოხრებულ (დაცლილ) მონასტერთა სია, რომელშიც შეტანილია ულუმბოც. ,,საარქიმანდრიტო ულუმბის ღვთისმშობლისა აოხრებული“ - ნათქვამია დოკუმენტში.

ამრიგად, 1770 წლისათვის ულუმბის მონასტერი მოოხრებული და დაცლილია. ულუმბოს მონასტრისა და სოფლის ,,ავის მიზეზით'' აოხრება ხომ არ უნდა იყოს ალის ხეობაში 1758 წელს მომხდარ ცნობილ მოვლენასთან დაკავშირებული?

კერძოდ, 1758 წელს ალის ხეობა აიკლო ნურსალ-ბეგის რაზმებმა. მათ აიღეს ალის ციხეც. თეიმურაზ მეორეს ერეკლესთან ერთად მიეშველა სოლომონ პირველი იმერთა მეფეც და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ლეკთა განდევნა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს მოხდა ულუმბის მონასტრის აოხრებაც, მოსახლეობაც განერიდა სოფელს და იმერეთში გადავიდა.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ულუმბის მონასტერი კვლავ მოქმედია. ამას ადასტურებს პლატონ იოსელიანი მონოგრაფიაში „ცხოვრება გიორგი მეათცამეტისა“. მონოგრაფიას დართული აქვს ქართლში მოქმედი მონასტრების სია, რომელშიც მოიხსენიება ულუმბაც.

ამ პერიოდის ულუმბოს მონასტერი ვახუშტის დროინდელი „უგუნბათო, დიდი, დიდშენი“ ეკლესიაა, ქუცნა ამირეჯიბის მიერ აღდგენილი. მაგრამ, როგორც ჩანს ამ დროს იგი საგძნობლად დაზიანებული უნდა იყოს, რამაც შემდგომში დღის წესრიგში დააყენა მისი დაშლა და ახალი ეკლესიის აგება.

XIX საუკუნის 70 - იან წლების დასაწყისში აქ უკვე ახალი ეკლესიაა, რომელიც იმეორებს ქუცნასა და ვახუშტის დროინდელ ეკლესიას, მაგრამ მასთან შედარებით უფრო პატარაა. ახალი ეკლესია ძველი ეკლესიის გეგმის მთელ პერიმეტრზე კი არ არის დაშენებული, არამედ მხოლოდ 2/3 ნაწილზეა.

სამხრეთის კარის თავზე გაკეთებული ოთხსტრიქონიანი, მხედრულით შესრულებული წარწერა გვამცნობს, რომ „1871-სა წელსა დასხმულ ვიქმენ არხიეპისკოპოზის ევსეის მიერ (1) მღვდლად ულუმბისა ღ-ის მშობლის ეკლესიისა მე ალექსი კევლევი (2) მეცადინეობითა ჩემითა შეუდექ აღშენებას ამა ტაძრისასა და შევას(3)რულე 1871.“

ულუმბოს ღვთისმშობლის თანამედროვე ეკლესია დარბაზულია (15,95X 9,33მ), ნაგებია ნატეხი ქვითა და ქვიშაქვის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთით აქვს სამხრეთის თაღოვანი კარი (ძველი ეკლესიისა) ამოქოლილია. აფსიდი ნაყვარწრიულია, აღმოსავლეთით, აფსიდში და დასავლეთით თითო სარკმელია, სამხრეთით და ჩრდილოეთით ორ - ორი. დარბაზის გრძივი კედლების .

ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

პილისტრებზე გადადის საბჯენი თაღები, რომლებსაც ეყრდნობა ცილინდრული კამარა. სამხრეთის და ჩრდილოეთით კედლებზე კედლის დეკორატიული თაღებიცაა. გასული საუკუნის 90- იან წლებში მამა გაბრიელის (ტაბატაძე) ხელმძღვანელობით აქ განხორციელდა მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები და მამათა მონასტერმა დაიდო ბინა.

ისტორიკოსი გ. ბოჭორიძე ულუმბის ეკლესიის აღწერას იწყებს შემდეგი წინადადებით: ,,საღოლაშენში ყოფილა ულუმბოს ეკლესია“ და იძლევა ულუმბის ეკლესიის აღწერილობას.

იქვე წერს, რომ ,,ულუმბოში ყოფილა ღვთისმშობლის ხატი. ულუმბელებს უდავიათ და ულუმბოში წაუღიათ ეს ხატი“(იქვე, გვ.224). ვფიქრობთ, მკვლევარი საღოლაშენში ულუმბოს ეკლესიაზე როცა ლაპარაკობს, აქ ულუმბოს ხატისთვის სპეციალურად აგებულ ეკლესიაზე უნდა მიგვანიშნებდეს. სხვა მხრივ გაუგებარი იქნებოდა თუ რატომ მიიჩნევს მკვლევარი საღოლაშენში ულუმბის ეკლესიის არსებობას. ისტორიკოსი დ. მეღვინეთხუცესიშვილი წერს: ,,სოფელსა საღოლაშენს სურამის უჩასტკასა შინა სდგა საშუალ მცხოვრებთა მცირე ეკლესი ქვიტკირის აღშენებული თავადი ამირეჯიბებთაგან, სადაცა ასვენია ღ-ს მშობლის ხატი მშვენიერი ნახატი მხატვრობა სასწაულთ მოქმედი ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი“(ი (ს). ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთხუციშვილი.

ვფიქრობთ, სოფელ ულუმბოს განადგურების შემდეგ, ულუმბოს ხატი ხვდება სოფელ შინდიშში, სადაც დაზიანდა - დაიწვა. აღდგენის შემდეგ, ამირეჯიბებმა სპეციალურად მისთვის საღოლაშენში ააგეს მცირე ზომის ეკლესია.

ამავე ეკლესიაში დ. მეღვინეთხუცესიშვილს ეტრატზე შესრულებული ,,ძველი სახარება“ უნახავს. მასზე დაკეთებულ წარწერაში ნათქვამია: ,,ქ. ყ - დ წმინდაო ღ - ს მშობელო დედოფალო მარიამ ორსავე შინა ცხოვრებასა წინაშე და ღთის ჩვენისა მე დადიანის ასულის დედოფალ დედოფალს მარიამს ესე ხელახლად შემოგწირე ოთხივე (?) ესე შენ ულუმბისა ღ-ს მშობელო შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ვინცა და რამანცა ესე შენ გამოგწიროს ჩვენთა ცოდვათათვის გაიკითხოს მას დიდსა განკითხვისასა. ამინ“.

როგორც ვხედავთ, ულუმბის ღვთისმშობლისათვის როსტომ მეფის (1632-1658 წწ.) თანამეცხედრეს, მარიამ დედოფალს შეუწირავს სახარება, რომელმაც როგორც ჩანს ულუმბის ხატის ბედი გაიზიარა - ,,ჟამთა ვითარებისაგან“ ჯერ შინდიშში დაიდო ბინა, ხოლო შემდეგ საღოლაშენში.

უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსი ხელნაწერებით მდიდარი იქნებოდა ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია. მსგავსად ასურელ მამათა სხვა სავანეებისა, იგი არა მარტო სასულიერო, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი უნდა ყოფილიყო საუკუნეთა მანძილზე.

* * *

ულუმბა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერა იყო შიდა ქართლში. ჩანს, საქმე უნდა გვქონდეს დიდ სამონასტრო კომპლექსთან. ამაზე მეტყველებს ბოლო პერიოდში აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები.

უმთავრესმა ნაგებობამ - ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიამ, რომელიც ბოლოს 1871 წელს მღვდელმა ალექსი კევლიშვილმა აღადგინა, იმ სახით XX ს - ის 90-იან წლებამდე მოაღწია ჩვენამდე.

ულუმბის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია

მამა გაბრიელის დიდი ძალისხმევით აღდგა აგრეთვე წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც მთავარი ეკლესიიდან სამხრეთით 0,5 კმ-ზე, ნასაყდრის ღელის სათავეში მდებარეობს. მან ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე და მისმა არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლამ სულ სხვა სურათის წინაშე დაგვაყენა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი სამონასტრო კომპლექსის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა.

სოფელ ულუმბის მკვიდრთა გადმოცემით, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ულუმბაში ამოსული მრევლი, მოილოცებდა რა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, ყოველთვის ადიოდა ადგილ ,,ნასაყდრის წმინდა გიორგიზე“, ანთებდა სანთელს და ლოცულობდა.

ისტორიკოს გ. ბოჭორიძეს XX საუკუნის 20 - იანი წლების ბოლოს შედგენილ გორის მაზრის ისტორიული ძეგლების ნუსხაში შეტანილი აქვს ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესია და ულუმბის მონასტრის ნანგრევები.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- რ ა გ ბ ი -

ძმები გრიგალაშვილები, რომლებიც საფრანგეთს საქართველოს აცნობენ

სანამ ინტერვიუს მომზადებას დავიწყებდი, დავფიქრდი და მივხვდი, რომ არ მახსენდება გვარი, რომელიც ასეა მართლებდეს თავის არსს. გრიგალაშვილები ხომ სპორტულ სამყაროში „გრიგალივით“ დაჰქრიან... მარტო ძიუდოში როდი გვყავს ამ გვარის წარმომადგენელი?(ვგულისხმობ ტატოს) თურმე, რაგბიშიც ყოფილან - ზურა და გიორგი გრიგალაშვილები, რომლებიც ძმები არიან და საფრანგეთის სარაგბო გუნდ „კარკასონში“ ირიცხებიან. აღნიშნული გუნდი, ამჟამად საფრანგეთის რანგით მესამე დივიზიონშია და წელს, მათი მიზანი „პრო დ2“-ში (საფრანგეთის მეორე დივიზიონი) დაწინაურებაა.

დღეს ერთ-ერთი ძმის შესახებ გიამბობთ... ზურა გრიგალაშვილმა რაგბის თამაში 10 წლის ასაკში ხაშურის “ლეგიონში” დაიწყო, სადაც მისი

მწვრთნელები დავით სტეფანოვი და არსენ გიორგაძე იყვნენ. მან ამ გუნდში 7 წელი დაჰყო. 20 წლის ხაშურელი მორაგბე პოზიციით მარცხენა ბურჯია (1ნომერი). ზურა 2 წლის განმავლობაში თბილისის სარაგბო კლუბ “წიქარაში” ასპარეზობდა, ხოლო 1 წელი პატარძეულის “ვეფხვებში” თამაშობდა. ამჟამად კი, როგორც უკვე გითხარით, “კარკასონის” მორაგბეა და მისი დაუოკებელი სურვილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშია.

- ზურა, რამდენი ხანია, რაც რაგბიში ვარჯიშობ და რატომ გადაწყვიტე მორაგბეობა?

- რაგბის თამაში 9-10 წლის ასაკში დავიწყე. ხაშურში სარაგბო გუნდი “ლეგიონი“ ახალი ჩამოყალიბებული იყო და ჩემი მეგობრები დადიოდნენ. ამიტომ მეც შევედი და პირველივე ვარჯიშის შემდეგ, ამ სპორტის სიყვარულით მოვიწამლე.

- რომელ პოზიციაზე თამაშობ და როგორი სტილის რაგბი გიყვარს?

- მარცხენა ბურჯი ვარ. მიყვარს, როდესაც შერკინებას მივაწვები, მეტოქეს დავაჯარიმებ და ბურთსაც ავიღებ. სწორედ ესაა ჩემი მოვალეობა და ჩემი ბრძოლისუნარიანობა ქართულ ხასიათშიც ჯდება.

- შენს კარიერაზე რომ მომიყვე, როგორ აღმოჩნდი საფრანგეთში?

- საფრანგეთში ბიძა მყავს, რომელიც 20 წელია იქ ცხოვრობს. ჩემი აგენტიც მისი მეგობარია. აგენტმა ჩემი და ჩემი ძმის თამაშების ვიდეოები ები ფრანგულ გუნდებს გაუგზავნა, რის შემდეგ ორ გუნდში ვარჯიშებზე დაგვიბარეს და დ ა გ ვ ა კ ვ ი რ დ ნ ე ნ . ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი დაბრუნების შემდეგ, „კ ა რ კ ა ს ო ნ ი ს გ ა ნ“ შემოთავაზება მივიღე და კონტრაქტიც გავაფორმე.

- პირველი ფრანგული დღეები თქვენს კარიერაში...

- ემოციური და დამღლელი იყო. გუნდში კარგად მიმიღეს, გარემოს შევეგუე და მწვრთნელებთან კარგი ურთიერთობა დავამყარე.

- ტრავმები ხშირად გაქვს?

- 2 წელიწადი მუხლის ტრავმა მქონდა, რამაც ჩემს კარიერას დიდი დარტყმა მიაყენა. ახლა, უფლის წყალობით კარგად ვარ.

- საფრანგეთში სათამაშო პრაქტიკა როგორი გაქვს და გუნდში რა მიზნებია?

- საფრანგეთში პირველი წელია, რაც ჩამოვედი. სექტემბერში მოსამზადებელი პერიოდი მაქვს და სეზონიც მალევე განახლდება. გუნდის მიზანი “პრო დ2“-ში გადასვლაა.

- მორაგბეები ფიზიკურად ძლიერები ხართ. თუ არის დაუწერელი წესები იმის შესახებ, როგორ შეიძლება ამის გამოყენება მოედანზე და მოედნის გარეთ?

- მოედანზე ძლიერები და აგრესიულები ვართ, სიხისტეც გვიყვარს. ქუჩაში, რომ ისე ვიმოქმედოთ, როგორც მოედანზე ვაკეთებთ, ეს ცუდ შედეგს მოიტანდა. (იცინის).

- ვარჯიშისთვის კარგი პირობებით შენი კარიერის დასაწყისში ვერ დაიკვეხნიდით. იმ წლებიდან რა გახსენდება ყველაზე უსიამოვნოდ?

- ხაშურის „ივერიის“ ძველ სტადიონზე ვვარჯიშობდით და ზამთარში ტანსაცმელს გარეთ ვიცმევდით, რადგან გასახდელი ოთახი არ გვქონდა. ცუდად მახსენდება, მაგრამ ეგ დრო მაინც მენატრება.

-ქართული ანსამბლების კონცერტები საფრანგეთშიც ხშირად იმართება. შენი უცხოელი მეგობრები ქართულ კულტურას იცნობენ?

- ფიჯელი მორაგბე გვყავს გუნდში, რომელმაც საქართველოს შესახებ არაფერი არ იცოდა. ჩვენი ქვეყნის ფოტოები ვაჩვენე და აღფრთოვანდა, ჩამოსვლაც კი ისურვა. ფრანგებმა იციან საქართველოს შესახებ, ჩვენი ღვინო ძალიან მოსწონთ.

- შენი ფრანგი მეგობრები წითელ ქართულ ღვინოს ამჯობინებენ თუ თეთრს?

- წითელს... რომ ვუთხარი ქართველი ვარ- მეთქი, ეგრევე ქინძმარაული ახსენეს.

- ათი წლის მერე როგორი წარმოგიდგენია შენი თავი და ცხოვრება?

- 10 წლის შემდეგ კარიერის ბოლო წლები მექნება. საკუთარი თავი საქართველოში ჩემს ოჯახთან ერთად წარმომიდგენია. რატომღაც მგონია, რომ განვლილი გზა კარგი მექნება.

- ქართველი ბურჯები საფრანგეთში მრავლად თამაშობენ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველი ლეგიონერების მიმართ?

- ქართველი მორაგბეები განსაკუთრებით უყვართ. ფრანგები დამთმობები არიან და ძლიერი ხასიათი აქვთ.

- მხოლოდ სპორტით ცხოვრება არ არის რთული და დამღლელი?

- თუ გიყვარს და მიზანდასახული ხარ, დამღლელი არ იქნება. პირიქით, რაგბის გარეშე ვერ ვჩერდები და ამისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ.

- რა არის კარიერული მიზანი?

„ტოპ 14“-ში თამაში მსურს (საფრანგეთის პირველი ელიტარული დივიზიონი). ასევე მსურს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გამოვადგე, რისთვისაც თავდაუზოგავად ვიშრომებ.

გ. გელაშვილი

- ხაშურელი ახალგაზრდები - საზღვარგარეთ -

ლილიკო მოწონელიძე - მხოლოდ ცოდნას მოაქვს თავისუფლება...

საზღვარგარეთ განათლების მიღება დღეს განსაკუთრებით სასურველი და აქტუალურია. ხშირად ქართველი ახალგაზრდები სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ ამჯობინებენ. ხაშური, რომ წარმატებული ადამიანების ქალაქია, ამაში ჩვენი გაზეთის მკითხველი არაერთხელ დარწმუნდა. სისტემატიურად გაცნობდით და გაცნობთ ჩვენს თანამოქალაქეებს, ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებმაც მხოლოდ საკუთარი ნიჭისა და შრომის ფასად მიაღწიეს წარმატებას.

ჩინეთის ქალაქ ჰანგჭოუში, ჭეძიანგის უნივერსიტეტში, 30 000 სტუდენტი სწავლობს, მათგან 6 000 უცხოელია. უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ჩინეთში ცნობილი უნივერსიტეტია, საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე განლაგებულ სასწავლო შენობას, ბიბლიოთეკას და რამდენიმე კამპუსს მოიცავს. ჭეძიანგის უნივერსიტეტის სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან არიან.

6000 უცხოელი სტუდენტიდან კი რამდენიმე ქართველია. მათ შორის ერთ-ერთია 27 წლის ლილიკო მოწონელიძე - ჭეძიანგის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ქალაქ ხაშურში, აქვე დაამთავრა სკოლა, 2014 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, შორეული აღმოსავლეთის განხრით, აქ დაეუფლა ჩინურ ენასაც. 2017 წელს კი სწავლა გააგრძელა ჩინეთში, სადაც სწავლობდა ჩინურ ენას. ლილიკო ამბობს, რომ მას უბრალოდ ძალიან შეუყვარდა ეს ქვეყანა.

ჩინეთში სწავლის შემდეგ, ისე შემიყვრადა ეს ქვეყანა, გადავწყვიტე მაგისტრატურაზე იქ ჩაბარება, მივიღე ჩინეთის სახელწიფოს სრული დაფინანსება და ყოველთვიური სტიპენდია და დღეს ვსწავლობ მაგისტრატურაზე საერთაშორისო განათლების განხრით.

შანხაი

• ლილიკო, შენი ცხოვრება ჩინეთში გამგზავრებამდე და ჩინეთში სწავლის შემდეგ... –

ბუნებრივია, იქნება ამ ორ, ძალიან განსხვავებული ქვეყნაში ბევრი რამ, რაც შენს გაოცებას შეძლებდა...

ჩინეთში გამგზავრებამდე ბევრ რამეზე სხვანაირი წარმოდგენა მქონდა, არ ვიცნობდი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, ჩინეთშიუამრავიადამიანიგავიცანი, ყველა ქვეყნიდან მყავს ნაცნობი თუ მეგობარი, მივხვდი რომ ადამიანები, წარმომავლობის მიუხედავად, ცხოვრებაზე ერთნაირად ფიქრობენ, ერთნაირი მიზნები თუ მისწრაფებები აქვთ. ჩინელი ხალხი უზომოდ შრომისმოყვარეა, დილის 6 საათზე იწყებენ მუშაობას, ძალიან ბევრს შრომობენ საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, ეს არის ერთ-ერთი რამ, რაც მე ძალიან მომწონს. ამასთან, ძალიან გავს ჩინური და ქართული სტუმართმოყვარეობა ერთამენთს, ზუსტად ისე უყვართ სტუმარი ჩინეთში, როგორც საქართველოში, ეს ჩემი აღმოჩენა იყო. ჩინეთში ცხოვრება უფრო რთულია, იმ მხრივ რომ მეტი კონკურენციაა, ძალიან ბევრ ადამიანს უნდა აჯობო, რომ შეძლო მიზნის მიღწევა. ამ მხრივ სკოლებშიც და უნივერსიტეტებშიც წნეხი ძალიან მაღალია, რაც მე პირადად არ მომწონს.

• ლილიკო შენს ჩინეთში გამგზავრებას პანდემია წამოეწია, იქონია გავლენა მსოფლიო პანდემიამ შენს საქმიანობაზე?

კი, რა თქმა უნდა, პანდემია რომ დაიწყო, მე ჩინეთში ვიყავი, რამოდენიმე დღეში დავტოვე ჩინეთი და უკან 3 წელი ვეღარ დავბრუნდი, ძალიან შეცვალა ამ ყველაფერმა ჩემი გეგმები. დავიწყე საქართველოში მუშაობა და სწავლის გაგრძელება მხოლოდ სამი წლის შემდეგ შევძელი. ონლაინ სწავლაზე უარი ვთქვი, ძალიან რთული იყო ეს ყველაფერი დროის განსხვავების გამო.

• მახსოვს ის ეპიზოდი შენი ცხოვრებიდან, როდესაც ქართველ მაყურებელს ჩინეთიდან უზიარებდი მათი საახალწლო ტრადიციების შესახებ...

კი, ჩინურ ახალ წელს პირველად შევხვდი ჩინურ ოჯახში, ჩემმა ჯგუფელმა თავის ოჯახში დამპატიჟა და მთელი ერთი კვირა მათთან ერთად გავატარე. მათთვის ახალი წელი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია. მთელი ოჯახი ერთად იკრიბება და მხიარულად ხვდებიან ახალ წელს. რაღაცით ქართულ ტრადიციასაც წააგავს.

• ლილიკო, დავუბრუნდეთ შენს ბავშვობას, ოჯახს, მე ყოველთვის შენს და-ძმასთან, ღიმილიანი და საკუთარ განვითარებაზე ორიენტირებული მახსოვხარ...

ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა, ჩემი და-ძმა ჩემი მოტივაციის წყაროა. ბავშვობიდან სულ ვიძახდი და ახლაც ვამბობ, რამეს თუ მივაღწევ, ჩემი და-ძმისთვის ვაკეთებ ამ ყველაფერს-თქო ბავშვობიდან სულ საზღვარგარეთ მინდოდა წასვლა, ბევრი ქვეყების ნახვა და ამ მიზანს მივაღწიე .

• ბავშვობის მთავარი ამბავი, ბავშვობის შთამბეჭდავი მთავარი ამბავი....

ბავშვობაში ბევრი რამე მახსოვს კარგად, ყველაზე კარგად მახსოვს სკოლისთვის სამზადისი ყოველ დილას, მე და ჩემი და-ძმა რომ ვსაუზმობდით

(დასასრული მე-6 გვერდზე)

ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, “მუსიკალური საღამო” მოეწყო

ღონისძიება მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა.

აქტივობების ფარგლებში, ბავშვებისთვის, სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი სივრცე მოეწყო, ჩატარდა მრავალფეროვანი ვორქშოფები და ანიმატორების შოუ. ასევე, გამოიფინა ადგილობრივი მეწარმეების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები. საღამო გალა-კონცერტით დასრულდა, ადგილობრივი მსმენელის წინაშე ჯგუფი “ბანდეროლი”, ნოდიკო ტატიშვილი, ანი კეკუა, თამუნა ამონაშვილი, სალომე ბაკურაძე და თიკა მახალდიანი წარსდგნენ. საღამოს უძღვებოდა ანი კოშაძე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 15-19 წლის 13 ახალგაზრდა ბაკურიანში - ინოვაციურ ბანაკში გაემგზავრა.

პირველ ინოვაციურ ბანაკში, რომელიც ორგანიზებულია კასპის ტექნოპარკისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ფონდის მიერ, ახალგაზრდები ცოდნას შეიძენენ შემდეგი მიმართულებებით:

შესავალი ტექნოლოგიებში და თანამედროვე პროფესიები ტექნოლოგიებში;

სამეწარმეო (entrepreneurship) უნარები და აზროვნება;

აზროვნების დიზაინი (Design Thinking);

პროდუქტის ბრენდინგი, მომხმარებელთან კომუნიკაციის საფუძვლები;

პროდუქტის ბაზარზე მორგება (product-market fit);

პროდუქტის განვითარება და მართვა - პროტოტიპი და MVP;

Arduino - შესაძლებლობები და რესურსები;

Smart City და Smart Village ტექნოლოგიები - საგნების ინტერნეტი (IoT – Internet of Things), მონაცემთა მეცნიერება, ხელოვნური ინტელექტი (AI), მანქანური სწავლება (ML), ღრმა დასწავლა (DL), ა.შ.

Pitching, Pitch Deck მომზადება;

გაიმართება შეხვედრები ტექნოლოგიურ სტარტაპების წარმომადგენლებთან.

ღონისძიების განმახორციელებელი კომპანია ქლევერტონი.

ბანაკის მონაწილეები ორგანიზატორებმა კონკურსის ფარგლებში

- ხაშურელი ახალგაზრდები - საზღვარგარეთ -

ლილიკო მოწონელიძე - მხოლოდ ცოდნას მოაქვს თავისუფლება...

(დასასრული)

და თან ტელევიზორს ვუყურებდით, ეს მომენტი ყველაზე მეტად მენატრება და ვიცი, რომ აღარ განმეორდება.

• შენი პროფესია, რატომ ეს პროფესია და არა სხვა?

განათლება ავირჩიე, იმიტომ რომ ბავშვობიდან მიყვარს ზოგადად განათლება და ენები, სულ სწავლაზე ვიყავი ორიენტირებული, თან მგონია, რომ ქვეყანაში ბევრი რამეა შესაცვლელი ამ მხრივ და მეტი ცოდნაა საჭირო, ამასთან, ჩემი პროფესიაა სინოლოგია. ძალიან მიყვარს ჩინური ენა და კულტურა, აქედან ონალაინ ვამზადებ მოსწავლეებს ჩინურ ენაში და ვცდილობ, ეს ენა მეტ ადამიანს შევაყვარო.

• პანდემიის გამო საქართველოში დაბრუნებული, როგორც ვიცი, მუშაობდი კიდეც სწავლის გაგრძელებამდე?

კი, ვმუშაოდი, ჯერ რიკოთის გვირაბთან არსებულ ჩინურ კომოანიაში დირექტორის ასისტენტად და შემდეგ ბათუმში არსებულ ჩინურ კომპნიაში პირად ასისტენტად. ორივე დიდი ჩინური კომოანიაა და ამ ადილებში მუშაობით ძალინ დიდი გამოცდილება შევიძინე, უამრავი ადამიანი გავიცანი.

• ხასიათის შტრიხები....

არ ვიცი, ალბათ შრომისმოყვარე და ცოტა ჯიუტი. დასახული მიზნისკენ ყოველთვის ჯიუტად მივდივარ ხოლმე წინ.

• მთავარი მიღწევა შენს ცხოვრებაში...

მგონია რომ ჯერ მთავარი მიღწევა წინ მაქვს .

• პირადი ამბები...

ამ ეტაპზე მხოლოდ სამსახური და სწავლა

• შენი ქალაქი შენს ცხოვრებაში...

ჩემი ცხოვრების ნახევარი ხაშურში მაქვს გატარებული, უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემს იმ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ვინც დღეს ვარ.

• სამომავლო გეგმები..

ვგეგმავ ონლაინ სკოლის განვითარებას და მეტი სტუდენტისთვის ჩინური ენის სწავლებას, ამასთან, მინდა, ბევრ მოსწავლეს დავეხმარო სწავლის ჩინეთში გაგრძელებაში.

• თავისუფალი დრო... გატაცება, ჰობი...

ჩემი ჰობია იოგა და თავისუფალ დროს იოგით ვარ დაკავებული, ასევე ძალიან მიყვარს ახალი ადგილების აღმოჩენა და ფოტოგრაფია. ამიტომ ხშირად დავდივარ უცნობ ქუჩებში და ვეძებ საინტერესო ადგილებს, ვიღებ უამრავ ფოტოს. ამ მხრივ აზია ძალიან საინტერესოა.

ჩინეთის დიდი კედელი

• გინდა,შენს თანატოლებს სტიმული მისცე, მეგობრული რჩევები გაუზიარო, როგორ მიაღწიონ წარმატებას?

აუცილებლად სწავლა, შრომა და მინზადასახულობა. თავისუფალ უნივერსიტეტში გვქონდა ასეთი დევიზი: ცოდნა, შრომა, თავისუფლება. მხოლოდ ცოდნას მოაქვს თავისუფლება.

თეა ახალკაცი

ანსამბლი ‘’ სალაღობოს’’ უდიდესი წარმატება საბერძნეთში

ჩვენი მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლები მართლაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ამჯერად ანსამბლმა ‘’სალაღობომ’’ გვასახელა და ჩვენი ქალაქის სახელი საბერძნეთს გააცნო. საბერძნეთში კი ანსამბლი 19-20 ივლისს, ‘’N Studia’’-ს ძალისხმევით, და მისი ხელმძღვანელის ელისო კაპანაძის ორგანიზებით გაემგზავრა. ფესტივალი, რომელშიც ‘’სალაღობო’’ მონაწილეობდა, მართლაც წარმომადგენლობით იყო და მასში მრავალი ქვეყნის (საბერძნეთი, ისრაელი, პანამა, ბულგარეთი, პოლონეთი, ბოსნია-ჰერცოგოვინა...) ფოლკლორული ჯგუფი მონაწილეობდა. ფესტივალი ქალაქ სალონიკში შედგა და ‘’სალაღობოს’’ მართლაც ტრიუმფით აღინიშნა, მის გამოსვლებს არ დაკლებია ტაში და ოვაციები. ანსამბლის ხელმძღვანელებმა ლია ბერუაშვილმა და ალექსანდრე ამბარიძემ უდიდესი სამუშაო გასწიეს, რომ ყველა ცეკვა უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე შესრულებულიყო და მიზანსაც მიაღწიეს. მადლობა მათ, რომ ხაშურის სახელს უცხო ქვეყნებს აცნობენ.

‘’სალაღობო’’ უკვე დაბრუნდა ხაშურში. წინ ახალი მიწვევებია (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი) და იმედია, იმ ქვეყნებშიც ასევე წარმატებით დაასრულებენ მორიგ გასტროლებს.

იყიდება მიწის ნაკვეთი

იყიდება 400 კვმ სამოსახლო ნაკვეთი, ყველანაირი კომუნიკაციით, ხაშურში, შიო მღვიმელის ქ. #5 (ცენტრალური ბაზრის მოპირდაპირე ჩიხი). ფასი 10 ათასი აშშ დოლარი.

საკონტაქტო ტელეფონი 5 57 39 87 87

”ხაშურის მოამბის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რობერტ სუხიაშვილს ძმის

ევგენის

გარდაცვალების გამო

”ხაშურის მოამბის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კულტურის ცნობილი მუშაკის და შესანიშნავი მსახიობის

ანზორ გაჩეჩილაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.